ზოგიერთი ქრისტიანული გადასახადის გავრცელების გეოგრაფია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით

მანანა კვეტენაძე
ელ-ფოსტა: mananakvetenadze@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ანალიზი ქრისტიანული გადასახადების მიხედვით და თემატური კარტოგრაფირება. შევისწავლეთ გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორია, როგორც ოსმალების მიერ დაპყრობილი უდიდესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. ასევე, მოხდა შესწავლა 1595 წლით დათარიღებული უნიკალური ხელნაწერის, რომელიც მოიცავს უმნიშვნელოვანეს მასალას. კერძოდ, განვიხილეთ თითოეული დასახლებული თუ დაუსახლებელი გეოგრაფიული ობიექტი, დეტალურად დავამუშავეთ დავთარში არსებული გადასახადები და მოვახდინეთ მათი კლასიფიცირება.

ასევე, კვლევის პროცესში მოხდა იმ გადასახადთა შესწავლა, რომლებიც პირდაპირ კავშირში იყო ქრისტიანობასთან. მაგალითად გადასახადი ღორზე, ისფენჯიზე, მურახასიესა და ვენახზე. ინფორმაციის დამუშავებისა და გეომონაცემთა ბაზის შექმნის შედეგად, დადგინდა მათი გავრცელების გეოგრაფია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით.